

დ ღ მ ი ბ

სურათებისა და მატება

გაზეთის № 260

შაბათი, 21 ნოემბერი 1909 წ.

დამატების № 46

ტკილი დუდუკი.

1.

დაუგიწყარია სიყრმის მეგობარი. თუნდ გაგუაროთ ცხოვრების მხემ, მანც მისი სახე ნათლად არის აღმეტდილი გულში, როგორც ბალლობისავე დროსთან შეკავშირებული სურათები ცხოვრებისა თუ ბუნებისა. ხომ დიდი ხანია რაც ჩემი ძმობილი მიხა დამშორდა, მაგრამ დღესაც თვალშინ მიღვა მიმზიდველი მისი სახე. ბიძაშვილები ვიყავით და დიდი მეგობრები ერთმანეთისა, ძმად შეფიცულნი.

ჩენი ოჯახებიც მეგობრობდნენ ერთმანეთს, თუმცა განაყოფები იყვნენ და მტრები უნდა ყოფილიყვნენ. ეს იმისთვის, რომ ჩენი სახლი უფრო დაწინაურებული იყო ცხოვრებაში პატივითა თუ დოვლათით და არაფერს ედავებოდა ჩამორჩენილ განაყოფს; ბიძა და ძალუა კი ისეთი კეთილი, ისეთი ლვთისნიერი ხალხი იყო, რომ მათ გულში ვერ ისადგურებდა შური.

თითონ მე ძიანთ ლარიბ ოჯახში უფრო მიხაროდა, სანამ ჩენ შეძლებულ სახლში: პატარა მიხა ხომ მიზიდავდა იქით, ძალუა და ძიაც გულს მიხვევდნენ, მიალერსებდნენ, მანებივრებდნენ. იმათი ცხოვრება უფრო წყნარი იყო და ტკბილი; ცოლ-ქმარი უსიტყვილ იტანდნენ შრომის თუ გაკირებას. მუშაობდნენ ყოველუამს, საყვედური და გმობა კი არ გამიგონია მათგან არასოდეს, შეწყობილად სწევდნენ ცხოვრების უდელს, თანხმობით; ერთმანეთს რომ ალერსით შეხედავდნენ, ერთმანეთს რომ ტკბილად გაულიმებდნენ, დარღი ღნებოდა მათ გარეშემო.

ისე ვმუშაობდი ძიანთ ოჯახში, როგორც მათი სახლის შეილი. ჩენები მიშლიდნენ, მაგრამ ვერ შევიგენი, რად არ უნდა მეშრომა იქ, სადაც მიხა ირჯებოდა. თავი დამანებეს. ყველა სამუშაო გაზიარებული გვქონდა. წყალი ერთად ამოგექონდა წყაროდან, კევრზე ერთად ვუსხედით, კალოს ერთად ვევიდით, გუთანზე ჯერი ერთად მიგვენდა; ბზეს ვეუყრიდით ხარ-კამებს, ვუურვებდით. მომწონდა სოფლური სამუშაო ჩენ. ოჯახში კა არაფერი ესეთი არ იყო, რადგან ჩენები პურსა თუ ლვინოს სოფლიდან ჰკრფებდნენ, უბრალო საქმეს კი მოჯამაგირე აკეთებდა და დედა კაცი. რა უნდა გამეცეთებინა შინ? წიგნში ჩაცერა კი არ მომწონდა. მე და მიხას ძალიან გვიხაროდა, როცა ძია ტკები წაგვიყვანდა. იმ ღამებს ძალუანთა ვიძინებდი, რადგან უნათებლივ უნდა გავდგომოდით გზას. ეხლაც ყურში მიღება ძის ნაღვლიანი ურმული. გრილოდა, ძის ნაბადში ვერვებდით, მზის ამოსვლის ველიდით.

— ბიჭო, დათიკო, აგერ მგელი, ჩენ კენ იხედება, — მეტყოდა შემკრთალი მიხა.

— მართლა, კაცო, ჩენ კენ მოდის, — მიუგებდი ამხანაგს და კოფოსკენ ვიწევდით შეშინებულნი.

რომ მიუხსლოვდებოდით, ჩენვე გვეცინებოდა ჩენ შიშე: პირდაღრენილ ნადირის მაგივრად ჯირკი დაგვხვდებოდა ხოლმე ან ჯაგი. ტყეში ვშველოდით ძის: ხარებს ვყარაულობდით, ურემს საგორავს მივცემდით, ფიჩეს მოვათრებდით, ვათვალიერებდით საორთოთ ტოტს თუ სასურუხე ხეს, ვერიდით სახრების. მიხას მამას უყვარდა ხის მუშაობა და შეშის თუ ფიჩის ურემს უთუოდ წამოაყოლებდა გამოსადევ მასალას, რომ მოცლილ ღროს ეროჩნა იგი. კაბდოს თუ ფიჩალს, არნადს თუ ნიჩაბს თითონა სთლიდა. დაგვრებოდით ტყეში. ხებს ვათვალიერებდით, ხილს ვეტანებოდით, ფრინველს ვაფრთხობდით, ციყვს ვესროდით, ვგლეჯდით ჩადუნას. ხანდისხან მივიყუებოდით ხის ძირის და ყურს ვუგდებდით ტყის ათასაირ ხმაურობას. მიხას გატაცებით უყვარდა ეს უცნაური ხმები. შიში შევიყურობდა, ურუანტელი გვივლიდა ტანში, მეტადრე თუ მისწყდებოდა ძის ნაჯახის ხმა.

— ბიჭო, დათიკო, აქ კიდევ ვყოფილვართ ჩენ, არ გახსოვს?

— არა... როგორ ვიწევბოდით, როცა აქა არასოდეს ძარ წამოვუყვანივართ ძის?!

— როგორ არა! მე ვყოფილვარ. მაშინაც ასეთივე ხმები მესმოდა, ხეგბი კი უფრო დიდრონი იქმაშინ; — მეტყოდა მიხა და შემკრთალი ახამხამებდა დაგანიერებულ თვალებს.

ვერ გამეგო, რად ეჩვენებოდა ასე მიხას. როცა ამის მამასა ვკითხავდით, ისიც დასცინოდა ბალლს. გვარშმუნებდა, იქეთ ჯერ არა პყოფილებისა რომ არა პყოფილების მაინც არა სჯეროდა მაინც დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში. ესევე მოსდიოდა მიხას, როცა სათევზაოდ მიედიოდით, ან მინალებში, ყველიერებისა, ცერციისა და ბარდანის დასაქრეფად: უცკრად შესდგებოდა გაფითრებული და დაი-

ეინებდა, სწორედ ეს კიდევ მინახავს, ეს ხმა კიდევ ვამიგონია. მეტადრე სცნობდა ხმებს. უცნაური ხმები ესმოდა მიხას, რომლებიც ჩემს ყურს ვერ ახწევდა. გაინაბებოდა, სახე გაეცრი ცეცხლიდა, თვალები უელავდა და მიეცყრო ყური იღუმალ ხმებისთვის, თუმცა გარეშემ იყო და მყუდროება.

— ალრეც გამიგონია ეს ხმები, ვიცნობ! გესმის შენც?

— არაფერიც არ მესმის, კრინტსაც არავინა სძრავს.

— როგორ? მართლა არ გეყურება?! — მეტყოდა გაკარგვებული და ნაღველი შეაჩნდებოდა თვალებში.

2.

თავისებური ბავშვი იყო მიხა. სუფთა სახე, გამზღარი, ფერმკრთალი; გატაცებული, ქვეყნის გარმა მაყურებელი თვალები. როცა რამე საგანზე ლაპარაკობდა, ვისმე ესაუბ-



სატროთ, — სურათი ტუმონისა.

რებოდა, თითქმ ვერ ჰეთამდა საგანს, ვერც მოსაუბრეს: შორს იყურებოდა, სივრცეში. მაგრამ თუ გამოაფხილებდი, თუ მიიჩიდავდი იმის სრულ ყურადღებას, მისი თვალები მიიღებდნენ გამორკვეულ მეტყველობას, იყვნებოდნენ, მთელ სახეს აცისკროვნებდნენ. სახე ცოცლდებოდა, მიმზიდველი ხდებოდა. მეტყრმეტყველიც იყო მიხა და ეს იყო მიზეზი, რომ ძალიან გვიყვარდა, როცა ზღაპარს მოვეითხობდა, ან რამე საშინელ შემთხვევას გვიამბობდა რომელიც ცოტათი ღა ირჩებოდა ზღაპრებისაგან, რადგან იგი ნახევარზე მისი ოცნების ნაყოფი იყო. ისე უძრაწყინავდნენ მაშინ მიხოს თვალები, რომ ბნერაშიც ანათებდნენ. სასალი ბიჭი იყო, მაღალი, სუსტი აგებულობისა. გლეხურ შრომას ვერ იტანდა: ღონე არ მოსდევდა იმდენი. მე ვჯობდი ამგვარ მუშაობაში, თუმცა სხვანაირად ვიყავი აღზრდილი. ვერც აწყობოდა გლეხურ გარებობას. შრომობდა, თაგა არა ჰზოგავდა, მაგრამ გული მაინც სხვა მხარეს მიეზიდებოდა, ოცნებათა სამულობელოსაკენ ეწეოდა. ჩატა სუფდად უყვარდა, მოხდენილად, იმის ტანზე ფარაოინი რამ უფრო ჰშველოდა, ვიდრე სხვის ტანზე ახალი: კოტა ბიჭი თითონ ამშვენებდა ტანისამოსს.

ანბანი მიხამ ჩვენ სახლში ისწავლა. მამა ჩემმა ასწავლა წიგნი და გაშინვე დავითი მისცა ხელში, რადგან აზრადა ჰქონდა თავისების, მიეღებინა.

— კარგი დიაკვანი დადგება მიხა: გარკვევით კითხულობს, ხმა სუფთა აქვს და გალობის კილოსაც ადვილად ითვისებს. — იტყოდა ხოლმე მამა.

მაგრამ მიხა ვერ შეეთვისა ეკვლესი. ურს და მუჟაოთობა ვერ გამოიჩინა ფალმუნთა ზეპირობაში. თუ თავისუფალ დროს იპოვიდა, ზღაპრებსა თუ ლექსებს ეწაფებოდა. მწყურ ვალივით; ამგვარ წიგნებს სულ უბით ატარებდი. ბატის ფთის კალამს ჩემზე მარჯვედა სჭრიდა. ყველაზე საყვარელი საგანი იმისთვის სიმღერა იყო თუ მწყობრ გალობას ან სიმღერას გაიგონებდა, სმენად გადაიქცევიდა და მაშინ ხმების გარდა ამ ქვეყნად ალარა არსებობდა რა რმისთვის. თითონაც იკოდა ღილინი, მაგრამ ნელი ხმა ჰქონდა.

— სუსტი ხმა იმისთვისა აქვს, რომ ჯერ ბალლია და ნაზი, დავვეუცდება, ხმა გაუძლიერდება და თუნდ დიდ ტაძარს შეამკობს თავისი გალობით! — იტყოდა ხოლმე მამა.

დიდ აღტაცებაში მოჰყავდა მიხა მუსიკის ხმას. სალამური, თარი, ჩანგრი, დუდუკი და ყოველგვარი შეწყობილი ლიბილი თქმა საშინლად აღლვებდა. ზურნის მაღალ ხმას კი ვერ ეწყობოდა, ვერც დაირა-ნაღარის თქრიალს. ყურისა მტკრნსო, იტყოდა ხოლმე. თოფიერთ ხმას ან ჰანგს უკიდურეს აღტაცებაში მიხანდა მიხა; მაშინ სრულებით ვეღარ იყავებდა თავს და ხან ნეტარების ღიმილად გარდაიქმნებოდა, ხან სევდის ცრემლებად იღვრებოდა.

— ბიჭი დათიკო, მოვკარ თუ არა ყური იმ ხმას, მაშინვე მენიშნა, მაშინვე მივხვდი, რომ ნაცნობი ჰანგი იყო. ის ხმა კიდევ გამიგონია როდესაც დიდი ვიყავ და სულ. სხვანაირად ცხოვრობდი! — მეტყოდა საიღუმლოდ ფერმინილი და ათრთოლებული მიხა.

— რას ამბობ, ბიჭო! როგორ იქნებოდი დიდი, ან როდის იქცოვრებოდა სხვანაირად, ან სად გაიგონებდი მაგის-თანა ხმებს სხვაგან? შენ ხომ ამ სოფლიდან ფეხი არსად გადაგიდგავს? — ვეტყოდი გაკვირვებული, მაგრამ მიხა ვერ

დამერწმუნებინა. არ ამიხირდებოდა, მხოლოდ ნალვლიანად შემომხედვადა.

ფრთხილი ქცევისა იყო, სულ იმასა სცდილობდა, არავის ეწყენინებინა, არავისთვის დაეშავებინა რამე. სხვის ტანჯვაზე თითონაც იტანჯებოდა გულჩილი. ქათამს ვერ დაჰკლავდა გაჭირვებაში. სხვის უმართებულო ქცევაზე თუ სიტყვაზე თითონ წითლდებოდა უმწიკვლო.

3.

ვიზრდებოდით მეგობრები და თანდათან შორდებოდნენ ერთმანეთი გზანი ჩვენის ცხოვრებისა: ჩემი გზა ხელოვნური იყო და გადადიოდა სხვა და სხვა სასწავლებელზე, ხოლო მისი ბილიკი ბუნების კალთას სადევდა და დედამიწის წიაღა არა ჰშორდებოდა, თუმცა კი მიხას მისწრაფება თუ აღფრთვენ ებული გრძნობა-გონება უფრო. შეეფერებოდა ხელოვნების ან მეცნიერების. უნივერსიტეტი ბიჭი ვიყავ, ქედ მაღალი, მკლავ ძლიერი, ბუნების შვილი, მისი ტრფიალი. იცით როგორ მიყვარდა ბუნება, იცით როგორი ტკივილი ვიგრძენი, როდესაც ამგლიჯეს დედამიწის კალთას და გადამრგეს ქალაქის მოკირწყლულ ქუჩაზე, სადაც ბალახის ხილვა მენატრებოდა? ეჭ!..

შემდეგში ხილად ვეწვევოდი ხოლმე სოფელს და ვერდევდი, რომ გულითაც ვშორდებოდი მას, ახალი გზა გვპყრობდა და ძალით მარნინებდა აღნიშნულ მზისაცენ. მიხა მაინც ვერ შესთვისებოდა სოფელს. თუმცა სოფლის ცხოვრებას მაგრა ჩაებოჭა ბიჭი, მაგრამ თავის სისხლ-ხორცად კი ვერ გარდაეჭმა; იგი ისევ ოცნების კაცად რჩებოდა და ოცნებების უფრო უძლიერდებოდნენ, მთლიად სთავდნენ მის არსებას.

გადიოდა დრო. ულვაში ამოგვიზიზინდა, ხმა შეგვიძნებდა, ხმა ჰქონდა ბატის მარტრის თავი სიტყვას ამბობს. და, ქალებს მუშტრის თვალით დავუშეეთ მზერა. აქაც გამოჩნდა, როგორ განსხვავდებოდა ჩვენი შეხედულობა ამ სანუკვარ საგანზე: მე რომ მიხაროდა ქალი, მე რომ სხეულით ვაფასებდი მას, მე რომ ნაწილნაწილ ვსწონავდი მას და პირდაპირ გული მითქმიდა მისთვის, ის ქალს რომ უყურებდა, თავის ოცნებას ეძებდა მის პიროვნებაში და მარად იტანჯებოდა, რადგან ვერც ერთში ვერა პოულობდა იმ კუნების ნასახს.

— რა ვენა, დათიკო, ხომ კარგი ქალია შუქური, ხომ ლამაზაც არის, კეთილიც, გამრჯელიც, კარგი ოჯახისაც, მაგრამ მაინც გული ვერ შემიწყვია მასზე, გული არ მიმწევს მისკვნ, რადგან შუქური ის არ არის, რომელსაც მე ვერებ.

— ახლა ვინ გინდა, რომ შეგხვდეს, რომელ მზეთუნახავი? გლეხის გოგოს კვალობაზე მაგ ქალს წუნი არა აქვს. მე ღიღის სიამოვნებით შევირთავდი მაგას შენს აღგილა.


— განა უკეთეს ვეძებ, მაგრამ ეგ არ არის ჩემი ცოლი. მე ჩემს მეუღლეს ვიცნობ, ვნახამ თუ არა, მაშინვე ვიცნობ ხმაზე და თვალებზე.

— შენს ცოლს, თუ შენს საცოლეს?

— ცოლს მეთქი, კაცო, მეუღლეს! — მითხა მიხამ და შეწილდა! თვალებში მოკრთალება რამ გამოეხატა.

— როგორი?

— გეტყოდი, მაგრამ არ მომისმენ, გაგიკირდება, განაგრძო იმან ხმა დაბლა.



— მიხა! რიღაცის თქმა გინდა, ვერ კი მნიშვნელობა? — ვუ-
საყვედურე მე.

— ძმა ხარ ჩემი და მიყვარხარ, მაგრამ მაინც მექნე-
ლება გულახლით გიამბო უკელაფერი; მეშინიან, ვაი თუ
შენც ვერ გაიგო ჩემი დარღი და გამკიცხო.

ცნობის მოყვირეობამ შემიპყრო და მივეფერე, რომ
მეთქმევინებინა საიდუმლო. მიხა დამყვა.

— ყური დამიგდე! განმარტოვებულა უა ვკრძნობ თავს.

გარშამო ბნელა მყვანან დედმამ, ნათე-
სავები, ნაცნობები, მაგრამ მე იმათ ვერა
ვცნობ. ვერა ვხედავ, ისინი ჩემთან არ
არიან; ვერც ისინი მხედავენ, ვერა მცნო-
ბენ, მათ ვერ ჩამოუხედნიათ ჩემს
გულში, რომ დაინახონ ჩემი გულის კვე-
თება. ერთად-ერთიმეგობარი შენა მყე-
ხარ ამ კვეყნად, მხოლოდ შენთვის ჩამივ-
ლია სარტყელში ხელი, მაგრამ ხანდის-
ხან ისე მეჩენება, თითქო შენც უნდა
ხელიდან დამისხლო და მიეფარო ჩემს
თვალთაგან. მაშინ მე მთლად მარტო
დაერჩები ამ თვალუწვდენელ სივრცეში
და ჩამნთქავს ბნელი. ყოვლოვის კი ეგ-
ჟარ. სცენის მსახიდები.
რე არა ვყოფილვარ, მახსოვი, ბინდუნ-
დად მაგონლება ის დრო, როდესაც წინად ვცხოვრობდი ისევ ამ
კვეყნად, ისევ აქ. ხომ ბევრჯერ მითქვავს შენთვის, მაგონ-
ლება მეთქი ესა თუ ის ადგრძლი თუ მდებარეობა ტყეში,
მინდონში, მდინარის პირას, ან სხვაგან. თანადათან გამო-
ვირკიყ გონებაში ეს კველაფერი და ეხლა დანამდვილებით
ვიცი, რომ ოდესმე კიდევ ვცხოვრობდი ამ კვეყნად.

— როგორ, კაცო, მეორედ რომ არ გაჩერებოდი ამ
კვეყნად?

— დაიცა სიტყვას ნუ შაბაშლევინებ! ზოგიერთ ადგი-
ლას ხომ ჯერ არა ვყოფილვარ, მაგრამ რომ ჩავიტიქოდე-
ბი, მაშინვე მომაგონლება, იქ არა არის ან როგორ არის მოწ-
ყობილი არემარე და როცა მივალ, სწორედ ისე დამხვდება
კუველივე, როგორც წარმოდგენილი მქონდა. ეს მისითვის,
რომ ვიცი იქაურობა. უწინაც ვყოფილვარ აქ. მაშინლელი
მახლობელნიც მაგონლებიან სიზმარივით, მაგრამ ისინი სხვე-
ბი იყვნენ, სხვანაირნი. მაშინ მე ცალიცა მყვანდა და ძა-
ლიანაც მიყვარდა. ცხადად მახსოვი მისი ხმა, მისი თვალე-
ბი. შევხვდები თუ არა, მაშინვე ვიცნობ. მისი ხმა შიგა და
შიგ მაგონლება: ფრინველთა გალობაში, წყლის ჩხრიალში,
დუდუკის ტკბილ რაკრაკში, სალაპრის სტვენაში თუ თა-
რის წკრიალშია ჩაწნული მისი ხმის ბერა და მე ვარჩევ იმ
ტკბილ ხმებს,, მე ვგრძნობ მათ. მისი ხმა უფრო კი დუდუ-
კის სევდიან ჰანგებშია ჩაქსოვილი.

— არა, ძმავ, ვერ გამიგია, რას უბნობ. თუ ღმერთი
გწაშს, მაგისთანებს ნულარ გამაგონებ!

— აკი გითხარი, ვერ მიმიხვდები და დამტინებ მეთქი.

— არ კი დაგცინი, მაგრამ თუ ჩემი ხათრი გაქვს, მა-
გისთანა ამაო ოცნებებს თავი დაანებე!

მიხამ ნალვლიანად შემომხედა და გაჩუმდა.

4.

რაკი წამოიზარდა მიხა, უფრო აჲყარა გული სოფელს
და სოფლის შრომას, თვალი ქალაქისაკენ დაიჭირა. არც
მაგდენი სამუშაო და იყო სოფლიდ იმის სახლში: მიწა ძა-
ლიან ცოტა ჰქონდათ, ტყე სულ არ გააჩნდათ, ხოლო
სხვებს ტყეში გადასახადი წაუმატეს, ვენახიც ალარაფერს იძ-
ლეოდა, რაღაც ვახს ავადმყოფობა მოერთა და ვენახის წამ-
ლობა კი ჯერ არ იყო შეთვისებული ჩვენში. ბაღს გული
აჲყარეს ძიანთ და სხვა სამუშაოს ორი ვაჲკაცი ალარა სპირ-
დებოდა. რაღაც მიხა საშინლად მიიწევდა ქალაქისაკენ და
სოფლიდაც უიმისოდ არა ფუჭდებოდა რა, ამისთვის დართეს



ი. ზარდალიშვილი,

ქარ. სცენის მსახიდები.

მას ნება ქალაქში ჩასულიყო, იქ ეცალნა თავისი ბედი. ტფილისში მიხამ რამდენჯერმე იცვალა აღგილი და ბოლოს მიღებდლა სოვდაგარ მეწვრიმიალეს: ჯერ უბრალო ბიჭად მსახურებდა მასთან, მერე უფრო მეტი საქმე ანდეს და ბო-
ლოს, რაკი შეიგნეს მისი მუყაითობა და პატიოსნება, ნო-
ქრად დაყენებს მით უფრო, რომ წერა-კითხვა კარგი იცოდა და და დავთრების წარმოება შეეძლო.

მიხა კმაყოფილი შეიქმნა თავის ბედისა. ჯამაგირი ჰყო-
ფნიდა, კიდეცა რჩებოდა, რაღგან მცირე მოთხოვნილებები
ჰქონდა. წიგნის კუთხებს ძალიან მიეჩია; ბევრ ქართულ
წიგნს იძენდა და სწავლობდა. ერთად-ერთი მისი გასართო-
ბი მუსიკა იყო. სადაც შეიძლებოდა საკრავების ხმის გავ-
ნება, მიხა იქ გაჩერებოდა უეჭველად. უფრო ნალვლიანი
ხმები მოსწონდა თარისა თუ დუდუკისა. უყვარდა სიმღე-
რაც, მაგრამ მხოლოდ წყნარი და სევდიანი. ამ ხმებში,
საკრავებისა თუ სიმღერის ხმებში, მიხა ალტაცებაში მოჰ-
ყვანდა ზოგიერთ ბერას, ზოგიერთ მიმოხვრას ხმისას. რო-
ცა მიხა ყურს მოჰყრავდა იმათ, ფითრდებოდა, ღელავდა
ხან სიამოვნებით, ხან სიმძმილით. სიმღერის თქმაში თუ
საკრავების ხმაში მიხა დაექებდა უფრო იმ აღნიშნულ ამო-
ძახილს, იმ განსაზღვრულ ბერას. თუ ახლო ვიჯექი, მაშინ-
ვე მანიშნებლა, რომ ყურადღება მიმექცია სწორედ იმ ხმე-
ბისთვის.

— იცი, დათიკო, ის ჩემი მომხიბლავი ხმები დიდი
ხნის გაგონილნი არინ ჩემგან და ნაგრძობნი; ისინი მე მა-
გონებენ უწინდელ დროს, დიდი ხნის წარსულს. ის ხმები
თანაც გარს გვლებიან ჩემთვის დაუვიწყარს სახეს. ვაი, რომ
ყველა ეს მაგონლება მხოლოდ გავრცით, იგი წარსული მხო-
ლოდ გაიელვებს ხოლო ჩემს და მსწარავლ მიე-
ფარება! გარკვევით კი ვერაფერი დამისახა გონებაში. როცა
ხმებს უგვდებ ყურს, იმ დაკარგულ ძვირფას სახეს მივსდევ
გონების თვალით, მაგრამ ვერ მივწვდენივარ, ვერ გამომირ-



6. კოლხიდელი,
ახალი მსახიობი ქართულ სცენისა.

კვევია იგი სავსებით. ეს არის ჩემის ტანჯვის დაუშრეტელი
წყარო.

მე ალლო ავიღე და შევნიშნე ის ხმები, რომლებიც
სწვდებოდნენ ჩემის მეგობრის გულს და იტაცებდნენ. იმ

ხმების გარკვევაში და შესწავლაში მეხმარებოდა თითონ მიხას სახის მეტყველება, მისი სახის ცვლილებანი უტყუვრად მაჩვენებდნენ იმ ხმებს, ისე რომ ბოლოს ის ხმები მე მთლად დავიხსრო და გვირკვიყ. იცით, რომელი ხმები იყო? ეს ის ხმები იყო, როდესაც საკრავის უღერა უახლოვდება ადამიანის ხმას, როდესაც სიმთა თრთოლაში ხორციელდება ადამიანის ამოძინვილი. სიმებში ხომ დამიანის ხმა არის ჩაწნული.

საკრაის ხმის მოსმენის შემდეგ მიხა ყოველთვის ძლიერ
ღელავდა, მოუსვენრად იყო, ტანჯვას განიცდიდა სულიერს,
რადგან ის ხმები საიდუმლოობით მოცულს ჟამს აგონებდნენ,
სანეტარო რამ აღგილს და დროს, სანუკვარს რასმე ცხოვ-
რებას გარდასრულს. მიხა იგონებდა იმ ძნელ მოსაგონს,
სცდილობდა გამოყრკვია ბნელიდან უწინდელი თავისი ცხო-
ვრება, სცდილობდა ცხადად დაქხატნა გონებაში მიმზიდვე-
ლი სურათი ძეირფას არსებისა, რომელიც ატყბობდა ოდეს-
შე მის ყოფას, მაგრამ იგი წარსული უსხლტებოდა მას გო-
ნების თვალს და განუკვრჩეტელის ბურისით იმოსებოდა. ესა
სტანჯავდა მიხას, აწამებდა, ასევდიანებდა. მისი გონების
თვალი იმ მიმზიდველს, ხოლო ბინდით მოსილ სურათს მიე-
პყო, იმ სურათს მოეზიდნა მ.სი არსება, როგორც ანდამატს
ძლიერს და ეს იყო მიზეზი, რომ მიხა სავსებით არ ცხოვ-
რობდა აწყოოთი, იგი ვერ შეცურებულიყო ცხოვრების
ზღვაში, ვერ შეცრეოდა მის ტალღებს და სოფლის გარე
გაიყურებოდა, სხვა რამ ცისკრონგან არესაკენ ეჭირა თვალი.

5

მიჰქროდა დრო. მე უკვე გავათავე სწავლა, შევეღი კარგ
სამსახურში და გამოწყობილმა დავიწყე სეირნობა ქვა-
შვეთის ბალში თუ ბულვარზე. ქალის კვალი ნათელ რამ
სრედ მეჩვენებოდა და მივსდევდი მას გატაცებით. ახალი
ხალხი გავიკან, ახალი ნაცნობები გავიჩინე. განათლებულთა
და წარმატებულთა წრისაკენ ვიწვდი, რადგან ჩემს თავს
განათლებულად კსოვლიდი, ჩემი თანამდებობა შესამჩნევი
მეგონა და დაწინაურებასაც ველოდი. გულის ვარდსაც მა-
ლალ წრებში ვეძებდი. ზევადად მეჭირა თავი, ამაყად.

თუმცა პირს ვარიდებდი ძეველ ნაცნობებს, მაგრამ გულიდამ კი ვერ ამოვირეცხე ისინი, მეტადრე ზოგიერთი მათგანი: ვერ ვიგიწყებდი მდაბიო, გარნა კეთილსა და გულუბრყვილო ოჯახებს, ვერა ვწყვეტდი მათთან კავშირს, მიხაც ისევ მიყვარდა, მეგობრობის გარდა პატივისცემასაცა ვერძნობდი მისადმი, რაღაც თუმცა ნასწავლი ვიყავი და საპატიო, მაინც ეხედამდი, რომ ვერა ვსჯობდი მას ვერც გრძნობათა სიფაქიზით, ვერც ბუნებრივის გამჭრიახობით ვონებისა, ვერც თვალად-ტანად. მაღალ-მაღალი, ტან წვრილი; ფერმკრთალ სახეზე შავი ხუცუჭი წვერ-ულვაში, ბარად გატაცებული დიდრონი თვალები, სუფთა ქცევა, უკიდურესი უანგარობა. ყველა ამასა ვგრძნობდი და ვხედამდი, ყველა ამას ვაფასებდი, ყველა ეს უნებლივით პატივისცემას იწვევდა მიხასადმი და მით უფრო, რომ ჩემს ახალ ამხანაგებში და მეგობრებში ვერ ვპოვებდი ამგვარ თვისებებს. გონება რომ აფასებდა მიხას, გულიც მისკენ იყო, სიყრმილგანვე მასთან შექვსილი გული. მასთან სულით ვისვენებდი, მასთან მოვიხსნიდი ხოლმე ჩემს ხელოვნურ მედიდურობას და გადავდებდი; ვჰუკჰუკებდით მეგობრულად, ვუზიარებდით ერთმანეთს გულის ნადებს.

უმთავრესი საგანი ჩვენის საუბრისა იყო ის უცნაური შე-
ხელულობა ქვეყნის რეგბაზე თუ ცხოვრებაზე, რომელიც ჰქონდა
ჩემს მეგობარს და რომელიც იხლა შეურყეველ რწმენად გარ-
დაქცეოდა: ბევრს ახალ საგანს, თუ არსებას, ბევრს ახალს მოვ-
ლენას ბუნებაში თუ ცხოვრებაში ისე უყურებდა ის, როგორც
უკვე ცნობილს და გამოცდილს, რომელიც აღრევე ენახა ან
გადაჰქოდოდა. თომ პატარობითვე ჰქონდა მას ესეთი მიმარ-
თულება გონიერისა, ეხლა ესეთი ჰაზრთა დენა ასე გაუძლიერ-

და, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარმეტყველებრივ გან-
სკვრეტდა მომავალს და დანამდვილებით მოუთხრობდა მას.
ის გონების თვალით ჰქედამდა ზოგჯერ იმას, რაც ჯერ არ
არსებობდა, განსკვრეტდა თვით დაფარულ ფაქტებს, ჯერეთ
სიტყვებში განუხორციელებულს ჰაზრებს თუ გრძნობებს და
ამ სანახაობით ჰქიბდლავდა ჩემს გონებას, არყვევდა ჩემს რწმე-
ნას, ლამის ცრუმორწმუნებათა ტალღით წაულექე ჩემი მსო-
ფლიაო შეხედულობა. თუ სკოდნოდათ ჩემი მეგობრის ესეთი
ნიჭი, სწორედ გულთმისნად დასახამდნენ მას.

მე ვუხსნიდი, რომ ამა თუ იმ საგანს ან ალგილ-მდება-
რეობას, ან ცხოვრების ს პირველადა ჰქედამდა, მაგრამ რად-
გან მის გარკვეულს ცნობიერებას აღნიშნულ საგანზე წინ
უსწრობს მისივე გაურკვეველი ცნობიერება იმავე საგანზე,
ამისთვის საგანი მეორდება გონებაში; იმას კი ჰგონია, მეო-
რედ ვხედამო. მაგრამ მიხა ნალვლიანად მიყურებდა და თავს
იქნევდა უთანხმოების ნიშნად: იმას რღმადა სწამდა თავისი
შეხედულობა.

მიხასა ჰქონდა დასახული იმ ქალის სახეც, რომელსაც
ის სათავისოდ გამოელოდდა, რომელიც ჯერ არ შეჰქვედროდდა
მას ის კი თავის მეუღლეს ეძახდა და დარწმუნებული იყო,
რომ შეეყრდნოდა და იცნობდა. იმ ქალის თვალებს, მის ხმას
ნათლად ამიწერდა მიხა და მოელოდდა მას მოუთმენლად.

— ვგრძნობ, დარწმუნებული ვარ, ჩემ ჩემი ცოლი,

სწორედ ის ქალი, რომელიც მეუღლე იყო ჩემი, სცხოვ-
რებს ეხლა ამ ქვეყნად; გული მეუბნება, რომ შეკვედი მას.
მაშინ შევიქმნები ბეღნიერი, მაშინ ქვეყნიერება ესეთი ბნე-
ლი აღარ იქნება ჩემთვის. ჩვენნი სულნი იცნობენ ერთმა-
ნეთს, რაფგან ჩვენ კიდევ გაგვილია ერთად გზა ცხოვრებისა.
— მაშ მიამბე, როგორა სცხოვრობდით მაშინ, ან სადა

სცხოვრობდით, ან რითი დათავდა მაშინ თქვენი არსებობა?

— օ! զբա Շեմովնուն մոցոցներ, հյուս ցողեցին ծայրագույն համ է կատարութեալ և այս գալաճուրքունու դա ոչու տարւած է շուրջառաց հյում շնչունքը առևելունաւ. Եթուրեց յես մըսանքաց գամուշութեալ պարու, համ ցցուցարւած յիշումնետու; Եթեալ պա զըմբենոն ոմ բան-չաց, համելմաւ զանցուն հյում ցուլմու, հաւաքուն մոցեալ պաս. Կայլա և սեց զարյմուց թաթլունու հյում ցուլմու և թիզունու մուսունու. Ենթացաւնաթիզունաւ մացունքին մուսունու և սա սպառունու սանց և ոյրու, Շոշագաւանու մացունքին մանունքուն պահունքուն զարյմունու զուտարյմունու. Մացունքին մուսունու և սա սպառունու սանց և ոյրու, Շոշագաւանու մացունքին մանունքուն պահունքուն զարյմունու.

— მაშინობ, რომ შეგხვდეს შენ საბედოდ გაჩენილი ქალი?

— მაშინვე! მასხოოს მისი თვალები, ყურში მიღდგა მისი ხმის ზოგიერთი ბერა, მთლიანად კი ვერ წარმომიდგენია ჩემის გულის ვარსკვლა ავი.

— იმან რომ ვერ გიცნოს და არ გამოგყვეს?
— ღმერთმა ნუ ქმნას! დავილუბები მაშინ, წყვლიალ

დამნთქამის სამუდამოდ. ამას და ამგვარს რომ მეტყოდა ჩემი მეგობარი, სახე უფითორდებადა, თვალები ეგზებოდა და უცნაური ლელვა იბყრობდა მთელ მის არსებას. ბევრჯერ ურუანტელს დაურ-ბენია ჩემთვის ამისთანა საუბრის დროს, მეტადრე თუ ღამე ჩამოგვიკარდებოდა ამ საგანზე ლაპარაკი; ბევრჯერა ვცალე კეთილგონიერ გზაზე დამეყენებინა ჩემი მეგობარი, ამელების ნებინა ხელი ამისთანა საკვირველ ცრუშმარწმუნებაზე, მაგრამ ამაოდ. მაინც და მაინც საშიში კი არ იყო მისთვის ამისთანა რწმენა, რადგან მას არამც თუ არავითარი მავნე გავლენა არა ჰქონდა მის ცხოვრებაზე, არამედ სწორედ ეს რწმენა და სულის სწორის მოლოდინი იყო იმის მიზეზი, რომ ახალ-გაზრდა პატიოსნად ინახამდა თავს და ფაქიზად.

3. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

